საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნონა თოლორაიას* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	16	20
წერის უნარი	16	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5
პროფესიული აქტივობები	3	5
ქულათა ჯამი	**80**	**100**

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი ი. გელაშვილი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ნონა თოლორაიას

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. რეკომენდატორების შეფასებით, ნონა თოლორაია გამოირჩევა პიროვნული კეთილსინდისიერებითა და პროფესიული სინდისით.

ნონა თოლორაიას აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. კანდიდატს დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ნონა თოლორაია დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი პიროვნებაა.

საჯარო მოსმენის პროცესზე, კანდიდატმა ისაუბრა პროკურატურის მხრიდან მის მიერ განსახილველი საქმეების გამო მის მიმართ განხორციელებულ ზეწოლაზე, რის გამოც იძულებული გახდა უარი ეთქვა სამოსამართლო საქმიანობაზე.

აღსანიშნავია, რომ ნონა თოლორაია 2008-2010 წლებში იყო „რესპუბლიკური პარტიის" წევრი და ეკავა ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის თანამდებობა. ამასთან, კანდიდატი 2012 წელს იყო პარტია „ქართული ოცნების" წევრი და ეკავა სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში საოლქო შტაბების რეგიონალური კოორდინატორის თანამდებობა. ასევე, იგი წარმოადგენდა პარლამენტის წევრობის კანდიდატს პროპორციული სიით.

ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ნონა თოლორაია პუნქტუალური, შრომისმოყვარე და საქმისადმი ერთგული პიროვნებაა, რომელსაც აქვს პიროვნული და პროფესიული ქცევის მაღალი სტანდარტები. ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტედ უთითებს, რომ იგი უკომპრომისოა.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ ნონა თოლორაიას მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. შსს-ს ერთიან საინფორმაციო ბანკში ინახება ინფორმაცია კანდიდატის მიმართ წარსულში არსებულ სისხლისამართლებრივი დევნის თაობაზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლის (2006 წლის 31 მაისის რედაქციით) 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მან ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 31 მაისის განაჩენი, მის მიმართ ცრუ და უკანონო ბრალდების საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3, მე-6 მუხლების, მე-8, მე-11 და მე-18 მუხლების მე-11 მუხლთან მიმართებით, მე-14 მუხლის მე-6 მუხლთან მიმართებით, მე-12 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის, პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის სავარაუდო დარღვევის საფუძვლით.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ნონა თოლორაია გამოირჩევა მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით როგორც პროფესიულ წრეებში, ასევე საზოგადოებაში.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

ნონა თოლორაია ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რაც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა,

ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: ნონა თოლორაიამ საჯარო მოსმენის პროცესზე იმსჯელა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე, მათ შორის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტზე, სასამართლო სხდომის დარბაზში მოსამართლის მიერ რელიგიური გრძნობების აფიშირების საკითხზე, სასამართლო სისტემაში განხორციელებულ რეფორმებზე და სხვ.

ამასთან, გამოვლინდა ცალკეული ნაკლოვანებებიც: მოვალეობათა კოლიზიის, სისხლის სამართალში ანალოგიის გამოყენების საკითხზე, დანაშაულის პროვოკაციის შესახებ პასუხები არ იყო სრულფასოვანი.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატს აქვს სამოსამართლო გამოცდილება, რომელიც შეადგენს 6 წელს. ნონა თოლორაია ამჟამად იკავებს სამეგრელო - ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორის თანამდებობას. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატი გამოირჩევა სამართლებრივი ნორმების კარგი ცოდნით.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მსჯელობა ლოგიკური და თანმიმდევრულია. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ ნონა თოლორაიას კომპეტენცია და დასაბუთების უნარები კარგად ვლინდება მის ყოველდღიურ საქმიანობაში.

საჯარო მოსმენის დროს ნონა თოლორაიამ იმსჯელა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე, თუმცა უმეტეს შემთხვევაში მსჯელობა იყო ზოგადი ხასიათის და არა დასმული საკითხის გადაწყვეტაზე მიმართული, კანდიდატი მსჯელობისას არ უთითებდა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე.

წერის უნარი: ნონა თოლორაიამ წარმოადგინა 5 სამართლებრივი დოკუმენტი, მათ შორის სააპელაციო საჩივარი მოსამართლის განაჩენზე, შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე, დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ და საპროცესო შეთანხმების დადების ოქმი. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, სამართლებრივ დოკუმენტს არ ტვირთავს არამიზნობრივი და შაბლონური მსჯელობით. რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის კარგი წერის უნარებს.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა მშვიდად და გაწონასწორებულად მეტყველების უნარი. თუმცა, რიგ შემთხვევაში ნონა თოლორაიას ეტყობოდა მომეტებული ნერვიულობა და შებოჭილობა, რამაც ხელი შეუშალა მას უკეთ წარმოეჩინა საკუთარი პიროვნული თვისებები და კომპეტენცია. კანდიდატს გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ ნონა თოლორაია არის კომუნიკაბელური პიროვნება.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ნონა თოლორაიას ახასიათებენ შრომისმოყვარე, დაუღალავ და საქმიან პიროვნებად, რომელსაც აქვს ანალიტიკური უნარ-ჩვევები.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ვინაიდან ნონა თოლორაია მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლდა 2007 წელს, დეპარტამენტი მოკლებულია შესაძლებლობას მოიძიოს და დაამუშაოს კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის თაობაზე სტატისტიკური ინფორმაცია.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ 5-მდე სასწავლო ღონისძიებაში, მათ შორისაა სემინარები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, პოლიტიკაში ქალთა მზარდი მონაწილეობის გაზრდის შესახებ, ტასისის მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო კურსი და სხვ.

ნონა თოლორაიას, საქართველოს მთავარი პროკურორის 2016 წლის 1 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე, 2016 წლის 13 ნოემბრიდან მიენიჭა მეორე კლასის იურისტის სახელმწიფო სპეციალური წოდება.

კანდიდატს მინიჭებული აქვს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ნონა თოლორაია ეწევა სამეცნიერო საქმიანობას. კერძოდ, მას გამოქვეყნებული შემდეგი სამეცნიერო ნაშრომები: „აუცილებელი მოგერიების ფარგლები და მისი გადაცილება", „აუცილებელი მოგერიების აქტუალური პრობლემები ", „ძალადობის მსხვერპლი ქალები და აუცილებელი მოგერიება" და სხვ.

ნონა თოლორაია უძღვებოდა სალექციო კურსებს შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში შემდეგ თემებზე: ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სუბსუმციისა და

კვალიფიკაციის პრობლემები და საყოველთაო სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სუბსუმციისა და კვალიფიკაციის პრობლემები.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. ნონა თოლორაია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 80 ქულით, კერძოდ:
   2.1.სამართლის ნორმების ცოდნა - 16 ქულა;
   2.2.სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 16 ქულა;
   2.3.წერის უნარი - 16 ქულა:
   2.4.ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 13 ქულა;
   2.5.პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 13 ქულა;
   2.6.აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 3 ქულა;
   2.7.პროფესიული აქტივობა - 3 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021